

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №214

ქ. ბათუმი, 05 მარტი 2020 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოება (კავშირგაბმულობის ხაზების (ქსელეზის), ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობა/მონტაჟი) შესაძლებელია „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით განსაზღვრული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გაცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (შემდგომში - თანხმობა) საფუძველზე, რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს თანხმობას სამუშაოების წარმოების დაწყებაზე, სამუშაოების დაწყებისა და დასრულების თარიღებს, სამუშაოების წარმოების პირობებს და სხვა საჭირო მონაცემებს.

2. თანხმობა, გარდა პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციისა, უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ გადათხრილი ტერიტორიის ან სხვა აღდგენითი სამუშაოების ჯეროვნად შესრულება უნდა დადასტურდეს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში სერვის-ცენტრის მენეჯერის მიერ. ამისათვის თანხმობის მფლობელი ვალდებულია სამუშაოების დასრულებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართოს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს, ხოლო ასეთი დადასტურების განუხორციელებლობა ჩაითვლება გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვებად და გატარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

3. დამტკიცდეს „შემოვლის ფურცელი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ადგილის სარგებლობის შეზღუდვისათვის“.

4. თანხმობის მისაღებად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დამატებით ციფრული ვერსიის სახით (PDF ფორმატში და SHP ფორმატში). განცხადებას ასევე უნდა დაერთოს სათანადოდ შედგენილი „შემოვლის ფურცელი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ადგილის სარგებლობის შეზღუდვისათვის“.

5. თანხმობის მისაღებად შესაბამისი განცხადების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის შემდგომ, განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ეგზავნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს და ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს (საპროექტო დოკუმენტაცია PDF ფორმატში), ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს ეგზავნება როგორც დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (საპროექტო დოკუმენტაცია SHP ფორმატში, წერტილოვანი, ხაზოვანი და პოლიგონური ფენების სახით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში, 37 ზონა), ისე დედნის სახით.

6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური და ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში თანხმობის ვიზირების გზით ითანხმებენ სამუშაოების წარმოების მიზანშეწონილობის საკითხს, კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური სამუშაოების წარმოების მიზანშეწონილობას როგორც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სივრცის მესაკუთრე, ხოლო ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებული კომუნიკაციებიდან გამომდინარე სამუშაოების წარმოების მიზანშეწონილობის საკითხს. თანხმობის დოკუმენტი ვიზირების გზით თანხმდება ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერთან.

7. თანხმობა გაცემა მხოლოდ „შემოვლის ფურცელში“ მითითებული ორგანიზაციების (დაწესებულებების) მიერ დადებითი გადაწყვეტილების (სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების) მიღების შემდგომ.

8. ამ ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოები, რომელთა წარმოება განპირობებულია ავარიით ან/და გადაუდებელი აუცილებლობით, შესაძლებელია დაწყებულ იქნას ბრძანებით განსაზღვრული თანხმობის მიღებამდეც ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-სთან შეთანხმებით. ამასთან, სამუშაოების მწარმოებელი პირი ვალდებულია მიიღოს თანხმობა საერთო წესით.

9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების დაუცველად განხორციელებული გადათხრითი სამუშაოები ჩაითვლება როგორც შესაბამისი თანხმობის გარეშე განხორციელებული გადათხრითი სამუშაოები და გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

10. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს გაცემული თანხმობის ასლები მიაწოდოს ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-ს, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს.

11. დაევალოს ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-ს და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს დააწესონ მკაცრი კონტროლი თანხმობით განსაზღვრული პირობების, მათ შორის გადათხრითი ქუჩების აღდგენითი სამუშაოების შესრულებაზე.

12. დაევალოს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის-ცენტრის მენეჯერების მეშვეობით უზრუნველყოს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე გადათხრითი ტერიტორიის ან სხვა აღდგენითი სამუშაოების ჯეროვნად შესრულების დადასტურება.

13. დაევალოს ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-ს და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს თანხმობის მფლობელის მიერ თანხმობით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, მათ შორის გადათხრითი ქუჩების აღდგენითი სამუშაოების განუხორციელებლობის შემთხვევაში, ასევე არაჯეროვნად შესრულებისას, კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ყველა ღონისძიებების განხორციელება. ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალურმა ინსპექციამ“ და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტომ“ უნდა აცნობოს ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს.

14. დაევალოს ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს თანხმობის მფლობელის მიერ თანხმობით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, მათ შორის გადათხრითი ქუჩების აღდგენითი სამუშაოების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ასევე არაჯეროვნად შესრულებისას) დაითვალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტზე მიყენებული ზიანის ოდენობა და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის.

15. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

16. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1832 ბრძანება.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

18. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

შემოვლის ფურცელი
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ადგილის
სარგებლობის შეზღუდვისათვის

ემლევა:

მის:

საზოგადოებრივი ადგილით სარგებლობის შეზღუდვის მისამართი:

შეზღუდული ადგილის ფართობი:

კვ.მ.

სამუშაოების წარმოების დაწყების თარიღი:

სამუშაოების წარმოების დასრულების თარიღი:

დაზიანებული ადგილის აღმდგენი:

შეთანხმებულია:

1. საპატრულო პოლიციის უფროსი

2. საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის აჭარის ა/რ
მთავარი სამმართველოს უფროსი

3. ს.ს. „ენერგოპროჯორჯია“-ს დასავლეთ საქართველოს
რეგიონალური ფილიალის უფროსი

4. შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“ -ს უფროსი

5. სს „სილქნეტი“-ს აჭარის სერვისცენტრის
უფლებამოსილი პირი

6. შპს „მაგთიკომი“-ს უფლებამოსილი პირი

7. შ.პ.ს. „ბათუმის წყალი“-ს უფროსი

8. შპს „აჭარგანათება“-ს უფროსი

9. გზის საფარის აღმდგენი ორგანიზაცია

10. ადმინისტრაციულ ერთეულში
სერვის ცენტრის მენეჯერი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია გაფრთხილებთ:

ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდგომ აუცილებელია სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ გატარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152 მუხლით გათვალისწინებული სანქციები, კერძოდ:

1. ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1000 ლარის ოდენობით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარით, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 3000 ლარით.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3000 ლარის ოდენობით.

აკრძალულია სამუშაოების დაწყება მუშა მოსამსახურის, საჭირო მასალებისა და მექანიზმების, შემოსაღობი ფარების, სანათი მოწყობილობების, საგზაო ნიშნებისა და მაჩვენებლების უზრუნველყოფის გარეშე. მასალები და მექანიზმები უნდა განლაგდეს უსაფრთხოების წესების დაცვით. აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობა.

**მიწისქვეშა სამუშაოების მოწყობა-გადაკეთებისათვის გათხრითი
სამუშაოების წარმოებისათვის თანხმობა გაიცემა ზემოაღნიშნული
მოთხოვნების შესრულების პირობით**